ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01172631082**

თარიღი: **20.09.2017**

ადრესატი:
ანა კუმსუხიძე
პირადი ნომერი: 01024037707
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სერგო ზაქარიაძეს ქუჩა, N 12, ბინა 24

ქალბატონო ანა,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/0117231206-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 8-19/01172131206-17

"20" 09 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ქუჩა კაირო, №15-ში (საკ. კოდი №01.19.34.002.177) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი (საწყობი; ოფისი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2873655 04.10.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ქუჩა კაირო, №15-ში (საკ. კოდი №01.19.34.002.177) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„5-1“ ფასადი: +6.20 ნიშნულზე არ არის მოწყობილი საფირმო ლოგო და წარწერა. „3-2“ მონაკვეთში გაუქმებულია პანდუსი და ბაქანი. „5-4“ მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრების ნახატი.

„ა-დ“ ფასადი: „ბ-გ“ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე და „ა-ბ“ მონაკვეთში +2.90 ნიშნულზე შეცვლილია ფანჯრის ნახატი. „გ-დ“ მონაკვეთში გაუქმებულია საფეხური, ასევე ფანჯარა მონაცვლებულია და „დ-დ“ ღერძთან დამატებულია თუნუქის მილი.

„1-5“ ფასადი: „1-3“ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ფანჯრის ნახატი და დამატებულია კონდიციონერი და გამწოვი მილი. +3.30 ნიშნულზე „2-3“ მონაკვეთში შემცირებულია ვიტრაჟის სიგრძე და შეცვლილია მისი ნახატი. ამავე ნიშნულზე „4-4“ ღერძის მიმდებარედ ორფრთიანი კარის ნაცვლად მოწყობილია ერთფრთიანი კარი. „3-4“ მონაკვეთში პარაპეტში დამატებულია ღიობი და მოწყობილია სახურავზე ასასვლელი ლითონის კიბე და ბაქანი.

„დ-ა“ ფასადი: „დ-გ“ მონაკვეთში გაუქმებულია პანდუსი, ასევე ასაწევი კარის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა და კარი. +3.30 ნიშნულზე „გ-გ“ ღერძის მიმდებარედ შეცვლილია ფანჯრის ნახატი. „დ-გ“ მონაკვეთში +3.30 ნიშნულზე, შემცირებულია მოაჯირის სიმაღლე.

ფასადებზე გაუქმებულია ალუკობონდით მოპირკეთება. შენობის ძირში დამატებულია ქვით მოპირკეთება. „ა-დ“ და „დ-ა“ ფასადზე „დ-დ“ ღერძის მიმდებარედ შეცვლილია მოპირკეთება.

„დ-გ“ მონაკვეთში ტერასაზე დამატებულია დანადგარები. „ა-გ“ მონაკვეთში სახურავზე პროფნასტილით ქანობიანი გადახურვის ნაცვლად მოწყობილია ბრტყელი გადახურვა. სახურავზე დამატებულია სავენტილაციო შახტა. შენობაში „2-3“ მონაკვეთში შეცვლილია საფეხურების რაოდენობა.

ტერიტორიაზე „დ-გ“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი ე.წ. ღია ფარდული და გადახურვა.

საწყობი

შენობაში შეცვლილია ლითონის სვეტები და ლითონის კონსტრუქციული ელემენტების რაოდენობა, ფორმა და გაბარიტები. ლიფტებს და კიბეს მონაცვლებული აქვს ადგილი. „14-15“ მონაკვეთში სართულებზე გაუქმებულია დერეფანი. შეცვლილია სართულშუა გადახურვის ლითონის კონტრუქციის გაბარიტები, რითაც შეცვლილია სართულების ფართი. გაზრდილია სართულების სიმაღლე. „ა-ბ“ მონაკვეთში „15-15“ ღერძის გარეთ ლითონის კიბეს მონაცვლებული აქვს ადგილი 0.3 მ-ით შენობის კედლიდან, ასევე გაზრდილია სვეტებს

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

შორის მანძილი 0.2 მ-ით. ლითონის კონსტრუქციის ქვეშ დამატებით მოწყობილია ბეტონის ბაქანი. შეცვლილია კიბის ბაქნებს შორის სიმაღლეები და შეცვლილია ბაქნების გაბარიტები. +12.20 ნიშნულზე გაუქმებულია კიბის თავზე გადახურვა. შენობაში შეცვლილია ლიფტების გაბარიტები. „2-4“ მონაკვეთში შენობაში შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. შეცვლილია სახურავის ქანობები და დამატებულია გამწოვი მილები.

„1-15“ ფასადი: ფასადზე დამატებით მოწყობილია სავენტილაციო ღიობი და გაუქმებულია წყალშემკრები მილები.

„ა-ე“ ფასადი: +9.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ლითონის ჰორიზონტალური ძელი. ლითონის კონსტრუქციაზე დამატებულია სატელიტური თეფში. კიბეზე შეცვლილია ლითონის მოაჯირის ნახატი.

„15-1“ ფასადი: ფასადზე დამატებით მოწყობილია სავენტილაციო ღიობი და გაუქმებულია წყალშემკრები მილები.

„ე-ა“ ფასადი: კარის ღიობებს მონაცვლებული აქვთ ადგილი და შემცირებულია მათი სიმაღლე. „გ-გ“ ღერძის მიმდებარედ შენობის ძირში დამატებით მოწყობილია კომუნიკაციების შეფუთვა. ფასადზე არ არის მოწყობილი სარეკლამო წარწერა და დამეტებულია მეხამრიდი. ალუმინის ვიტრაჟების ნაცვლად ღიობები შევსებულია კარბოლუქსით. არსებული რელიეფის დონე არ შეესაბამება საპროექტოს. ფასადზე გაუქმებულია ვიტრაჟების გარშემო ჩარჩო და შემცირებულია ღიობების სიმაღლე.

ფასადებზე შენობის ძირში დამატებით მოწყობილია ცოკოლის ნაწილი და დამატებულია წყლის გადამყვანი მილები.

ტერიტორიის კეთილმოწყობა არ არის შესრულებული.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ” ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს„დასტა პროპქო“-ს, ქ. თბილისში, ქუჩა კაირო, №15-ში (საკ. კოდი №01.19.34.002.177) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი (საწყობი; ოფისი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01172131206-17 01.08.2017წ. განცხადება.
№წ-19/01172131206-17 03.08.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე